საქართველოს პარლამენტი

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ივლისის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
აგვისტო

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 15,672.5 მლნ ლარი	78.3% 9 თვის გეგმის	56.9% წლიური გეგმის
გადასახდელები - 15,077.1 მლნ ლარი	72.9% 9 თვის გეგმის	54.0% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 595.4 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 1,272.6 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -35.1 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2025 წლის იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობები** 15,672.5 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,560.8 მლნ ლარი) 56.9%-ს და 9 თვის გეგმის[1] (20,013.1 მლნ ლარი) 78.3%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 1,101.8 მლნ ლარით (7.6%-ით) აღემატება (ძირითადად, შემოსავლების კომპონენტის მატების გავლენით).

2025 წლის 7 თვეში, **გადასახდელები** 15,077.1 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,941.7 მლნ ლარი) 54.0%-ს და 9 თვის გეგმის (20,669.1 მლნ ლარი) 72.9%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 7 თვის მაჩვენებელს 731.2 მლნ ლარით (5.1%-ით) აჭარბებს (ძირითადად, ხარჯების კომპონენტის მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 9 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (79.8%), არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები მაღალი მაჩვენებლით (89.8%), ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები მნიშვნელოვანი (26.7%-იანი) გადაჭარბებით გამოირჩევა, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (61.8%).

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, 9 თვის გეგმის შესრულების მხრივ, ხარჯებისა და ვალდებულებების კლების კომპონენტები კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 77.2% და 78.0%), ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა (89.9%), ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს დაბალი მაჩვენებელი აქვს (48.1%).





[1] 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,386.2 მლნ ლარს გაუტოლდა. 7 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 595.4 მლნ ლარი შეადგინა და 2025 წლის 1 აგვისტოსთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,981.5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



გადასახადების სახით, იანვარ-ივლისში მობილიზებულია 12,450.1 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 77.1%-ს და წლიური გეგმის 56.9%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით, გადასახადების 9 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 72.2% - 78.7%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი, ხოლო მოგების გადასახდი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადს, 9 თვეში დაიგეგმა 200.0 მლნ ლარი, ფაქტობრივად კი 439.6 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წელთან შედარებით, გადასახადები გაზრდილია 921.2 მლნ ლარით (8.0%-ით), ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის, აგრეთვე, დღგ-ის, შესაბამისად, 13.4%-იანი, 4.8%-იანი მატების გავლენით.



2025 წლის იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 1,272.6 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -35.1 მლნ ლარი შეადგინა.



ხარჯების მაჩვენებელმა, 7 თვეში, 12,550.9 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 77.2% და წლიური გეგმის 57.5% შეადგინა. სახეების მიხედვით ხარჯების 9 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლებში, ხარჯების თითქმის ყველა მუხლი, გარდა საქონლისა და მომსახურების ხარჯებისა (9 თვის 66.7%), კარგი შესრულებით ხასიათდება. კერძოდ: სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 79.9%-ს შეადგენს, პროცენტის მუხლით ხარჯები - 79.8%-ს, სხვა ხარჯები - 82.7%-ს, სუბსიდიები - 77.5%-ს, გრანტები - 74.9%-ს, ხოლო შრომის ანაზღაურება - 72.1%. წინა წელთან შედარებით, ხარჯები 1,201.6 მლნ ლარით (10.6%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების (572.7 მლნ ლარით) მატების გავლენით.



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 7 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა*	2025 წლის 7 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 7 თვის ფაქტთან
შემოსულობები	**14,570.7**	**27,560.8**	**20,013.1**	**15,672.5**	**78.3%**	**56.9%**	**7.6%**
შემოსავლები	**12,634.5**	**23,434.9**	**17,332.9**	**13,823.5**	**79.8%**	**59.0%**	**9.4%**
გადასახადები	11,528.9	21,885.0	16,155.0	12,450.1	77.1%	56.9%	8.0%
საშემოსავლო გადასახადი	3,816.3	7,369.0	5,499.0	4,325.9	78.7%	58.7%	13.4%
მოგების გადასახადი	2,032.9	3,070.0	2,385.0	1,723.0	72.2%	56.1%	-15.2%
დღგ	4,273.8	8,136.0	6,024.0	4,478.8	74.3%	55.0%	4.8%
აქციზი	1,441.6	2,650.0	1,933.0	1,399.2	72.4%	52.8%	-2.9%
იმპორტის გადასახადი	81.6	150.0	114.0	83.6	73.4%	55.8%	2.5%
სხვა გადასახადები	-117.2	510.0	200.0	439.6	219.8%	86.2%	-474.9%
გრანტები	185.0	199.9	144.5	135.6	93.9%	67.8%	-26.7%
სხვა შემოსავლები	920.6	1,350.0	1,033.4	1,237.8	119.8%	91.7%	34.5%
არაფინანსური აქტივების კლება	**99.4**	**300.0**	**228.0**	**204.8**	**89.8%**	**68.3%**	**106.0%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**245.5**	**400.0**	**198.0**	**250.8**	**126.7%**	**62.7%**	**2.1%**
ვალდებულებების ზრდა	**1,591.3**	**3,425.9**	**2,254.2**	**1,393.4**	**61.8%**	**40.7%**	**-12.4%**
საშინაო	599.3	1,600.0	1,135.4	892.2	78.6%	55.8%	48.9%
საგარეო	992.0	1,825.9	1,118.8	501.2	44.8%	27.5%	-49.5%
გადასახდელები	**14,346.0**	**27,941.7**	**20,669.1**	**15,077.1**	**72.9%**	**54.0%**	**5.1%**
ხარჯები	**11,349.3**	**21,842.0**	**16,260.5**	**12,550.9**	**77.2%**	**57.5%**	**10.6%**
შრომის ანაზღაურება	1,436.3	3,035.0	2,261.0	1,629.2	72.1%	53.7%	13.4%
საქონელი და მომსახურება	1,276.1	2,485.3	1,871.2	1,248.2	66.7%	50.2%	-2.2%
პროცენტი	1,013.9	1,745.0	1,440.1	1,148.8	79.8%	65.8%	13.3%
სუბსიდიები	597.1	1,021.6	767.7	594.9	77.5%	58.2%	-0.4%
გრანტები	891.0	1,856.5	1,276.6	956.0	74.9%	51.5%	7.3%
სოციალური უზრუნველყოფა	4,485.1	8,446.3	6,328.5	5,057.7	79.9%	59.9%	12.8%
სხვა ხარჯები	1,649.8	3,252.3	2,315.5	1,916.0	82.7%	58.9%	16.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**2,145.9**	**4,258.9**	**3,142.7**	**1,512.5**	**48.1%**	**35.5%**	**-29.5%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**141.9**	**424.1**	**219.6**	**197.4**	**89.9%**	**46.6%**	**39.1%**
ვალდებულებების კლება	**708.8**	**1,416.7**	**1,046.3**	**816.3**	**78.0%**	**57.6%**	**15.2%**
საშინაო	24.7	42.9	34.9	22.1	63.1%	51.4%	-10.7%
საგარეო	684.1	1,373.8	1,011.4	794.3	78.5%	57.8%	16.1%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**224.8**	**-381.0**	**-656.0**	**595.4**			

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება № 434)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 7 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 7 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 7 თვის ფაქტთან
შემოსავლები	**12,634.5**	**23,434.9**	**17,332.9**	**13,823.5**	**79.8%**	**59.0%**	**9.4%**
გადასახადები	11,528.9	21,885.0	16,155.0	12,450.1	77.1%	56.9%	8.0%
გრანტები	185.0	199.9	144.5	135.6	93.9%	67.8%	-26.7%
სხვა შემოსავლები	920.6	1,350.0	1,033.4	1,237.8	119.8%	91.7%	34.5%
ხარჯები	**11,349.3**	**21,842.0**	**16,260.5**	**12,550.9**	**77.2%**	**57.5%**	**10.6%**
შრომის ანაზღაურება	1,436.3	3,035.0	2,261.0	1,629.2	72.1%	53.7%	13.4%
საქონელი და მომსახურება	1,276.1	2,485.3	1,871.2	1,248.2	66.7%	50.2%	-2.2%
პროცენტი	1,013.9	1,745.0	1,440.1	1,148.8	79.8%	65.8%	13.3%
სუბსიდიები	597.1	1,021.6	767.7	594.9	77.5%	58.2%	-0.4%
გრანტები	891.0	1,856.5	1,276.6	956.0	74.9%	51.5%	7.3%
სოციალური უზრუნველყოფა	4,485.1	8,446.3	6,328.5	5,057.7	79.9%	59.9%	12.8%
სხვა ხარჯები	1,649.8	3,252.3	2,315.5	1,916.0	82.7%	58.9%	16.1%
საოპერაციო სალდო	**1,285.1**	**1,592.9**	**1,072.4**	**1,272.6**	**118.7%**	**79.9%**	**-1.0%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**2,046.5**	**3,958.9**	**2,914.7**	**1,307.7**	**44.9%**	**33.0%**	**-36.1%**
ზრდა	2,145.9	4,258.9	3,142.7	1,512.5	48.1%	35.5%	-29.5%
კლება	99.4	300.0	228.0	204.8	89.8%	68.3%	106.0%
მთლიანი სალდო	**-761.4**	**-2,366.0**	**-1,842.3**	**-35.1**	**1.9%**	**1.5%**	**-95.4%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**121.1**	**-356.9**	**-634.4**	**542.0**	**-85.4%**	**-151.9%**	**347.4%**
ზრდა	**366.7**	**424.1**	**219.6**	**792.8**	**361.1%**	**186.9%**	**116.2%**
ვალუტა და დეპოზიტები	224.8	0.0	0.0	595.4			164.9%
სესხები	140.7	421.7	217.1	110.3	50.8%	26.2%	-21.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.2	2.5	2.5	87.1	3556.8%	3556.8%	7322.5%
კლება	**245.5**	**781.0**	**854.0**	**250.8**	**29.4%**	**32.1%**	**2.1%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	381.0	656.0	0.0	0.0%	0.0%	
სესხები	245.5	400.0	198.0	250.0	126.2%	62.5%	1.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.8			
ვალდებულებების ცვლილება	**882.5**	**2,009.1**	**1,207.8**	**577.1**	**47.8%**	**28.7%**	**-34.6%**
ზრდა	**1,591.3**	**3,425.9**	**2,254.2**	**1,393.4**	**61.8%**	**40.7%**	**-12.4%**
საშინაო	599.3	1,600.0	1,135.4	892.2	78.6%	55.8%	48.9%
საგარეო	992.0	1,825.9	1,118.8	501.2	44.8%	27.5%	-49.5%
კლება	**708.8**	**1,416.7**	**1,046.3**	**816.3**	**78.0%**	**57.6%**	**15.2%**
საშინაო	24.7	42.9	34.9	22.1	63.1%	51.4%	-10.7%
საგარეო	684.1	1,373.8	1,011.4	794.3	78.5%	57.8%	16.1%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**			

საქართველოს პარლამენტი